დოკუმენტაცია

ტექნიკური მოთხოვნების შესყიდვის ობიექტის და დაინტერესებული პირის (შემდგომში პრეტენდენტი) მიმართ

1. მომსახურების აღწერა (ტექნიკური დავალება), შესყიდვის ობიექტის რაოდენობა/მოცულობა

გასაწევი მომსახურების აღწერილობა და მოცულობა განისაზღვრება დოკუმენტაციის დანართიN1-ით (ტექნიკური დავალება).
შენიშვნა: დოკუმენტაციაში, ყველგან, თუ სადმე მითითებულია სატენდერო პროცედურა, იგულისხმება წინამდებარე შესყიდვის პროცედურა.

2. მომსახურების გაწევის ვადა

ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 (ათი) კალენდარულ თვეში, ტექნიკურ დავალებაში (დანართი N1) განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

3. მომსახურების გაწევის ფორმა და ადგილი

საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია მიწოდებული უნდა იქნას შემსყიდველის მისამართზე - ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ N12.

4. ინფორმაცია პრეტენდენტის გამოცდილების შესახებ

1) პრეტენდენტს, 01.01.2007-დან პროცედურის გამოცხადების თარიღამდე პერიოდში (შემდგომში „საანგარიშო პერიოდი“), საქართველოს ტერიტორიაზე ან/და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა იმ ქვეყნის ტერიტორიისა, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი), უნდა გააჩნდეს ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის ან/და რკინიგზის მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირების მომსახურების გაწევის გამოცდილება (დასრულებული პროექტების სახით) არანაკლებ 16 000 000 ლარის ჯამური ღირებულების ოდენობით.

2) პრეტენდენტს ან/და ქვეკონტრაქტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 01.01.2007-დან პროცედურის გამოცხადების თარიღამდე პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე ან/და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა იმ ქვეყნის ტერიტორიისა, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი/ქვეკონტრაქტორი), არაუმეტეს 2 (ორი)

ხელშეკრულების ფარგლებში, გაწეული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 5 000 000 ლარის ღირებულების ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირების (დასრულებული პროექტების სახით) მომსახურება.

3) პრეტენდენტს ან/და ქვეკონტრაქტორს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) 01.01.2007-დან პროცედურის გამოცხადების თარიღამდე პერიოდში, საქართველოს ტერიტორიაზე ან/და სხვა ქვეყნის ტერიტორიაზე (გარდა იმ ქვეყნის ტერიტორიისა, სადაც რეგისტრირებულია პრეტენდენტი/ქვეკონტრაქტორი), არაუმეტეს 2 (ორი) ხელშეკრულების ფარგლებში, გაწეული უნდა ჰქონდეს არანაკლებ 1 500 000 ლარის ღირებულების რკინიგზის მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირების (დასრულებული პროექტების სახით) მომსახურება.

4) დოკუმენტაციის მე-4 მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 პუნქტებით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნას დოკუმენტაციის დანართი N3-ის შესაბამისად.

5) პროცედურაში მონაწილე პირი ვალდებულია, დოკუმენტაციის დანართი N3-ში ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება მიუთითოს ლარებში. ამასთან, უცხოურ ვალუტაში გაწეული მომსახურების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია მითითებული უნდა იყოს ლარებში, მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების გაფორმების თარიღისთვის, შესაბამისი ვალუტის მიმართ საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი, ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით.

6) დოკუმენტაციის დანართი N3-ში მითითებულ პოზიციებზე დაინტერესებულმა პირმა უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტაცია, შემდეგი მოთხოვნების გათვალისწინებით:
(6.1) დოკუმენტაციის დანართ N3-ში მითითებულ საპროექტო მომსახურებებზე, პრეტენდენტი ვალდებულია წარმოადგინოს მხარეთა მიერ ხელმოწერილი ხელშეკრულებების ასლები და შესაბამისი მომსახურების გაწევის დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (მომსახურების გაწევის აქტი, ან/და გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარების აქტი, ან/და დამკვეთის მიერ გაცემული გაწეული მომსახურების დამადასტურებელი წერილობითი დოკუმენტი ან/და დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა), ამასთან:
ა) დოკუმენტაციის დანართ N3-ში მითითებულ საპროექტო მომსახურებებზე,

რომლებიც შესრულებულია საქართველოს ტერიტორიაზე კერძო კომპანიების დაკვეთით, პრეტენდენტმა, დამატებით უნდა წარმოადგინოს შესაბამისი დადასტურებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურები.
ბ) დოკუმენტაციის დანართ N3-ში მითითებულ საპროექტო მომსახურებებზე, რომლებიც შესრულებულია ამხანაგობის ფარგლებში, პრეტენდენტმა ასევე უნდა წარმოადგინოს ამხანაგობის მონაწილეების უფლებამოსილი პირების მიერ დამოწმებული დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება, თუ ფაქტიურად რა ღირებულების მომსახურება შეასრულეს ამხანაგობის მონაწილეებმა ცალ-ცალკე, აღნიშნული ხელშეკრულების ფარგლებში.
(6.2) შემყიდველი, ასევე, უფლებამოსილია, თუ სატენდერო დოკუმენტაციის მე-4 მუხლის მე-6 პუნქტის 6.1 პუნქტით მოთხოვნილი დოკუმენტაციიდან არ იდენტიფიცირდება სატენდერო დოკუმენტაციის მე-4 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტებით მოთხოვნილი გამოცდილების შესაბამისი საპროექტო მომსახურების შინაარსი, პრეტენდენტს მოსთხოვოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N3-ში შეტანილ მომსახურებ(ებ)აზე, დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის ან/და მისი ნაწილის წარმოდგენა.

(6.3). დოკუმენტაციის მე-4 მუხლის 6.1 პუნქტით მოთხოვნილი ანალოგიური გამოცდილების დამადასტურებელი უცხო ენაზე გაფორმებული ხელშეკრულებები, პრეტენდენტს შეუძლია წარმოადგინოს შემოკლებული სახით, ხელშეკრულების ასლის და მისი ნოტარიულად დამოწმებული ქართული თარგმანის სახით, რომლებიც, მინიმუმ უნდა მოიცავდეს შემდეგ ინფორმაციას:
(ა) ხელშეკრულების დამდები მხარეები;
(ბ) ხელშეკრულების საგანი (შესყიდვის ობიექტის დეტალური აღწერილობა, მაგ.:ტექნიკური დავალება ან სხვა მსგავსი დოკუმენტი, საიდანაც ნათლად უნდა იკვეთებოდეს შესყიდვის ობიექტის შინაარსი);
(გ) ხელშეკრულების ღირებულება;
(დ) ხელშეკრულების გაფორმებისა და მოქმედების, მომსახურების გაწევის ვადები;
(ე) მხარეთა ხელმოწერები.

7. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი არის უცხოური საწარმო ან მისი წარმომადგენლობა/ფილიალი საქართველოში:

7.1. სათაო კომპანიის მიერ გაცემული ნებისმიერი სახის ცნობა ან/და ინფორმაცია დამოწმებული უნდა იყოს სათაო კომპანიის ხელმძღვანელობაზე უფლებამოსილი პირის მიერ (წარმოდგენილი უნდა იყოს ხელისმომწერი პირის უფლებამოსილების

დამადასტურებელი დოკუმენტი).

8. ტენდერში ამხანაგობის მონაწილეობა

8.1 იმ შემთხვევაში თუ პრეტენდენტი არის ამხანაგობა, მაშინ მისმა მონაწილეებმა ტექნიკურ დოკუმენტაციაში მკაფიოდ უნდა განსაზღვრონ (შინაარსობრივად), თუ თითოეული მონაწილე კონკრეტულად რომელ ვალდებულებას შეასრულებს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში. ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს დოკუმენტაციის დანართი N8-ის შესაბამისად.

8.2 ამხანაგობის მონაწილეთა ტექნიკური დოკუმენტაციის პროცედურის პირობებთან შესაბამისობა დგინდება მონაწილის მიერ შესასრულებელი ვალდებულებისადმი დადგენილ მოთხოვნასთან მიმართებით, ამ მუხლის 8.1. პუნქტის მოთხოვნათა გათვალისწინებით. ამასთან, დასაშვებია ამხანაგობის მონაწილეთა ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების დაჯამება, ხოლო არ დაიშვება გამოცდილების შეკრება.

9. ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების შესახებ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) წარმოდგენილი უნდა იყოს სატენდერო დოკუმენტაციის დანართი N6-ის შესაბამისად, რომელიც დამოწმებული უნდა იყოს როგორც პრეტენდენტის ხელმძღვანელის, ასევე ქვეკონტრაქტორი კომპანიის ხელმძღვანელის მიერ.

9.1. იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტი, სატენდერო დოკუმენტაციის მე-4 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნათა გათვალისწინებით, იყენებს ქვეკონტრაქტორს, მაშინ პრეტენდენტმა ცალკე უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია ქვეკონტრაქტორის შესაბამისი გამოცდილების შესახებ დოკუმენტაციის დანართი N3-ით განსაზღვრული ფორმატის მიხედვით და ქვეკონტრაქტორის გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტაცია - სატენდერო დოკუმენტაციის მე-4 მუხლის მე-6 და მე-7 პუნქტებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად.

9.2. ქვეკონტრაქტორი კომპანია არ უნდა იყოს რეგისტრირებული შესყიდვებში მონაწილე არაკეთილსინდისიერ პირთა რეესტრში – „შავი სია“

5. ინფორმაცია პრეტენდენტის პერსონალის გამოცდილების შესახებ?

1) პრეტენდენტს პროცედურით გათვალისწინებული მომსახურების გასაწევად, უნდა ჰყავდეს სათანადო რაოდენობისა და გამოცდილების მქონე სპეციალისტები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ დოკუმენტაციის დანართი N2-ის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ცხრილში მითითებულ მოთხოვნებს.

2) პრეტენდენტმა, მის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტზე უნდა წარმოადგინოს საანკეტო მონაცემები დოკუმენტაციის დანართი N2-ის მეორე პუნქტით განსაზღვრული ფორმის (საინფორმაციო ანკეტა) შესაბამისად (ატვირთულ, დამოწმებულ დანართ N2-ში შენიშვნის ტექსტის მითითება სავალდებულო არ არის).

3) პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ თითოეულ სპეციალისტზე, ატვირთული უნდა იყოს მოქმედი პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ან/და პასპორტის ასლები.

4) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შესაბამის სპეციალისტებთან გაფორმებული წინარე შეთანხმება (თითოეულ სპეციალისტთან ცალ-ცალკე) დოკუმენტაციის დანართი N5-ის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში, სპეციალისტი იღებს ვალდებულებას, რომ კომპეტენციის შესაბამისად, პირადად განახორციელებს ამ ტენდერით გათვალისწინებული მომსახურების გაწევას.

5) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, სპეციალისტების შეცვლის, ან დამატების აუცილებლობის შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, წინასწარ წერილობით წარუდგინოს შემსყიდველს ინფორმაცია აღნიშნულის შესახებ. ასეთ შემთხვევაში, ახალი სპეციალისტის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება უნდა აკმაყოფილებდეს დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

6. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

6.1 მოითხოვება ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია

ხელშეკრულების ღირებულების 5 პროცენტი

6.2 სავარაუდო ღირებულებასთან შედარებით საბოლოო ფასის 20%-ით ან მეტით კლების შემთხვევაში მოითხოვება გარანტია

ხელშეკრულების ღირებულების 10 პროცენტი

6.3 გარანტიის მოქმედების ვადა

ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიის მოქმედების ვადა არანაკლებ 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას.

6.4 გარანტიის პირობები

1. გარანტია წარმოდგენილი უნდა იყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 15 სამუშაო დღის ვადაში. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ეროვნულ ვალუტაში - ლარში, (ან უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულებიდან, რომელიც გადაზღვეული იქნება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) შემდეგი ფორმის დაცვით: დაბეჭდილი გარანტიის გამცემი დაწესებულების ტიტულიან ფურცელზე (ბლანკი), ხელმოწერილი უფლებამოსილი პირის მიერ და ბეჭედდასმული, დანართი N7-ში მოცემული პირობების შესაბამისად.
2. ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტიასთან დაკავშირებული სხვა პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით.

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. წინასწარ გადასახდელი თანხის ოდენობა და პირობები

1) მიმწოდებელი უფლებამოსილია ხელშეკრულების გაფორმების შემდგომ შემსყიდველს წარუდგინოს წინასწარი წერილობითი თხოვნა ავანსის გაცემასთან დაკავშირებით, თუ იგი არ არის რეგისტრირებული მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ არ არის რეგისტრირებული საგადასახდო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია წარმოადგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დადასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არ არსებობა.
2) შემსყიდველის მიერ ავანსის გაცემასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველს წარუდგინოს საბანკო დაწესებულების (უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების შემთხვევაში, იგი გადაზღვეული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული, გასაცემი ავანსის ოდენობის, უპირობო საბანკო გარანტია ლარში, რომელიც ძალაში უნდა იყოს

გასაცემი ავანსის დაქვითვამდე.
3) მიმწოდებელზე გასაცემი საავანსო თანხა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ს.
4) საავანსო ანგარიშსწორების გარანტიის გამოყენების/დაკავების პირობები განისაზღვრება ხელშეკრულების პროექტით.

7.2 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების პირობები

1) ანგარიშსწორებისათვის მიმწოდებელი, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით (დანართიN1) განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადებისა და პირობების შესაბამისად, ეტაპობრივად წარუდგენს შემსყიდველს საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას. მხარეები ანგარიშსწორებას ახორციელებენ უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.
2) მიმწოდებლისაგან წარმოდგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების მიღების (მაგრამ მიმწოდებლისაგან დასრულებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღის განმავლობაში) შემდგომ, დგება შუალედური ან/და დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი (წარმოდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს იმ ეტაპისათვის გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.
3) გაწეული საპროექტო მომსახურების მონიტორინგი და მიღება-ჩაბარება იწარმოებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის N2069 განკარგულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
4) მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით).
5) ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების და შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების სხვა პირობები განისაზღვრება სატენდერო დოკუმენტაციით გათვალისწინებული ხელშეკრულების პროექტით.

7.3 ეტაპობრივი ან/და საბოლოო ანგარიშსწორების განხორციელების ვადები

როგორც ეტაპობრივი, ასევე საბოლოო ანგარიშსწორება განხორციელდება ანგარიშსწორებისთვის აუცილებელი დოკუმენტაციის სრულყოფილად გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში.

8. დ ა მ ა ტ ე ბ ი თი ი ნ ფ ორ მ ა ც ი ა /დ ო კ უ მ ე ნ ტ ე ბ ი

1. პროცედურასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილ უნდა იქნას ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

2. ყველა დოკუმენტი და/ან ინფორმაცია ხელმოწერილი და/ან ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უნდა იქნას უფლებამოსილი პირის მიერ. პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს ხელისმომწერი პირის წარმომადგენლობითი უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან ხელისმომწერი პირის ხელისმოწერისათვის გაცემული მინდობილობა, რომლის ასლის დედანთან სისწორე დამოწმებული უნდა იყოს ნოტარიულად. დოკუმენტის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შესრულებული თარგმანები ქართულ ენაზე.

3. სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება წინადადების შესაბამისად.

4. პრედენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული წინადადება და პროცედურაში მონაწილეობით ეთანხმება ყველა იმ პირობას, რაზედაც ინფორმაციის წარმოდგენა არ არის მოთხოვნილი.

5. წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს ლარებში, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

პრეტენდენტი ვალდებულია ფასების ცხრილში მითითებული ერთეულისა და საერთო ფასები გამოსახოს და შესაბამისად გაინაგარიშოს ლარის მეასედის - თეთრების სიზუსტით (მძიმის შემდეგ ორი ციფრი).

6. გამარჯვებული პრეტენდენტი ვალდებულია, ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს საქართველოში რეგისტრირებული და შესაბამისი ლიცენზიის მქონე სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი, რომელიც უნდა შეადგენდეს ხელშეკრულების ღირებულების ოდენობას და მოქმედი უნდა იყოს მისი გაცემის თარიღიდან მოცემული ტენდერის შედეგად, ლოტი 1-ზე და ლოტი 2-ზე შემუშავებული პროექტების საფუძველზე განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დასრულებიდან (სავარაუდოდ 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი) 2 (ორი) წლის განმავლობაში. აღნიშნული დაზღვევა უნდა ფარავდეს შემდეგ რისკს: მომწოდებლის მიერ, პროფესიული საქმიანობის განხორციელების პერიოდში, დაშვებული ხარვეზების შედეგად შემსყიდველის მიმართ დამდგარ ზიანს

1.მოთხოვნები პრეტენდენტის პერსონალის მიმართ

N	სპეციალისტები/პოზიცია	რაოდენობა	სპეციფიკური გამოცდილება	
			სფერო	წლები
1	გზების ან ხიდების ინჟინერი (ჯგუფის ხელმძღვანელი)	1	საერთაშორისო გამოცდილება (საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ) ჩქაროსნული ავტომაგისტრალების ან/და რკინიგზის მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში, ჭაობიან ან/და სუსტ გრუნტიან ტერიტორიაზე, ჯგუფის ხელმძღვანელის პოზიციაზე	არანაკლებ 7 წელი
2	საგზაო ინჟინერი (ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე)	1	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში, საგზაო ინჟინრის პოზიციაზე	არანაკლებ 7 წელი
3	სარკინიგზო ლიანდაგის და სადგურის ინჟინერი (ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე)	1	რკინიგზის მშენებლობისა ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში, რკინიგზის ინჟინრის პოზიციაზე	არანაკლებ 7 წელი
4	გეოტექნიკოსი (ინჟინერი)	1	საერთაშორისო გამოცდილება (საკუთარი ქვეყნის ფარგლებს გარეთ) ჩქაროსნული ავტომაგისტრალების ან/და რკინიგზის მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში, ჭაობიან ან/და სუსტ გრუნტიან ტერიტორიაზე, გეოტექნიკოსის პოზიციაზე	არანაკლებ 7 წელი
5	ჰიდროლოგი (ინჟინერი)	1	საავტომობილო გზების ან/და რკინიგზის მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში, ჰიდროლოგის პოზიციაზე	არანაკლებ 5 წელი
6	ხიდების ინჟინერი გზებისთვის ან/და რკინიგზისთვის	1	ჩქაროსნული ავტომაგისტრალების ან/და რკინიგზის მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში, ხიდების ინჟინრის პოზიციაზე	არანაკლებ 7 წელი
7	ელ. მომარაგების სისტემების ინჟინერი	1	რკინიგზის ელ. მომარაგების სისტემების პროექტირებაში	არანაკლებ 7 წელი

8	შენობის დიზაინის ინჟინერი	1	სარკინიგზი ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული შენობა-ნაგებობების მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში, ინჟინერი	არანაკლებ 2 დასრულებული პროექტი
9	IT და სატელეკომუნიკაციო სისტემების ინჟინერი	1	საინჟინრო გამოცდილება რკინიგზის IT და სატელეკომუნიკაციო სისტემების პროექტირებაში,	არანაკლებ 5 წელი
10	გარემოს დაცვის სპეციალისტი	1	საავტომობილო გზების ან/და რკინიგზის მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის მომზადების მიმართულებით	არანაკლებ 5 წელი
11	განსახლების სპეციალისტი	1	საავტომობილო გზების ან/და რკინიგზის მშენებლობის ან/და გაუმჯობესების პროექტირებაში განსახლების სამოქმედო გეგმის მომზადების მიმართულებით	არანაკლებ 5 წელი

2. საინფორმაციო ანკეტა*

1. პირადი მონაცემები	
სპეციალისტის სახელი და გვარი	
პირადი N:	
საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი, ტელეფონი და ელ. ფოსტა):	
პროექტში დასაკავებელი პოზიცია:	
დაბადების თარიღი (რიცხვი, თვე, წელი):	
მოქალაქეობა:	

2. სპეციფიკური გამოცდილება (ივსება თითოეული პროექტის მიხედვით)
პროექტის დასახელება: მუშაობის წლები: პროექტის განხორციელების ქვეყანა და კონკრეტული ადგილმდებარეობა: პროექტის დამკვეთის დასახელება: პროექტის დამკვეთის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი და ტელეფონი ან/და ელ.ფოსტა) პროექტის შემსრულებელი კომპანია: პროექტის შემსრულებელი კომპანიის საკონტაქტო ინფორმაცია (მისამართი და ტელეფონი ან/და ელ.ფოსტა): პროექტის ფარგლებში დაკავებული თანამდებობა: პროექტის აღწერილობა**:

შენიშვნა:

* საინფორმაციო ანკეტით წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე სოლიდარული პასუხისმგებლობა ეკისრებათ პრეტენდენტსა და პირს (სპეციალისტი), რომლის შესახებაც არის წარმოდგენილი ინფორმაცია.

** დოკუმენტაციის დანართი N2-ის პირველი პუნქტით განსაზღვრული ცხრილის 1-ელ და მე-4 პოზიციებზე მოთხოვნილი სპეციალისტების შემთხვევაში, პროექტის აღწერილობაში უნდა იყოს მითითებული იმ ტერიტორიის გრუნტის ტიპი, სადაც განხორციელდა პროექტი.

სპეციალისტის ხელმოწერა _____

ინფორმაცია

პრეტენდენტის მიერ, საანგარიშო პერიოდში, გაწეული საპროექტო მომსახურების შესახებ

N	თითოეული ხელშეკრულების ფარგლებში გაწეული მომსახურების დასახელება	შემსყიდველის დასახელება	ხელშეკრულების მოქმედების ვადები	სახელშეკრულებო ღირებულება	ფაქტიურად გაწეული მომსახურების ღირებულება (ლარებში)
1					
2					
3					
4					
5					
6					
...					

პრეტენდენტის ხელმოწერა: _____

ბ.ა.

წინარე შეთანხმება

(პროექტი)

ერთი მხრივ, პროცედურაში მონაწილე პირი: ----------

პრეტენდენტის დასახელება და საიდენტიფიკაციო კოდი

(შემდგომში პრეტენდენტი წარმოდგენილი: ----------

წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირი

იღებს ვალდებულებას და მეორე მხრივ, პროცედურის პირობების შესაბამისად, პრეტენდენტის მიერ სპეციალისტად წარმოდგენილი პირი: ----------

სპეციალისტის სახელი და გვარი/პირადი ნომერი, სპეციალობა

(შემდგომში „სპეციალისტი“) თანხმდება, რომ ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან მისასვლელი საავტომობილო გზის, რკინიგზის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების შესყიდვის პროცედურაში პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში, „სპეციალისტად“ წარმოდგენილი პირი იქნება დასაქმებული პრეტენდენტთან და კომპეტენციის ფარგლებში, პირადად განახორციელებს შესყიდვის პროცედურით გათვალისწინებულ მომსახურებას.

სპეციალისტის ხელმოწერა _____

პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

ბ.ა.

დანართი N6

ინფორმაცია პრეტენდენტის მიერ გამოყენებული ქვეკონტრაქტორების შესახებ

N	ქვეკონტრაქტორის დასახელება	საიდენტიფიკაციო კოდი	ქვეკონტრაქტორის საკონტაქტო ინფორმაცია	ქვეკონტრაქტორის მიერ შესასრულებელი მომსახურების დასახელება
1				
2				
3				
.				
.				
.				
n				

პროცედურაში მონაწილე პრეტენდენტის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ქვეკონტრაქტორი კომპანიის ხელმძღვანელის ხელმოწერა _____

ბ.ა.

ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფა
(უპირობო საბანკო გარანტია)

ვის:

_____

(შემსყიდველის დასახელება)

მხედველობაში ვიღებთ რა, რომ_____(შემდგომში - „მიმწოდებელი")

(მიმწოდებლის დასახელება, საიდენტიფიკაციო კოდი)

_____

(ტენდერის დასახელება)

იკისრა ვალდებულება წარმოადგინოს საბანკო გარანტია მასზე დაკისრებული ვალდებულებების შესრულების გარანტიის სახით ხელშეკრულებაში მითითებულ თანხაზე, ჩვენ თანახმა ვართ გავცეთ მიმწოდებლის სახელზე ზემოთაღნიშნული გარანტია. ამასთან,დაკავშირებით, ვადასტურებთ, რომ ვართ გარანტები და პასუხისმგებლები თქვენს წინაშე მიმწოდებლის სახელით საერთო თანხაზე:

_____

_____

(თანხა ციფრობრივად, სიტყვიერად, ვალუტის მითითებით)

და უპირობოდ ვკისრულობთ ზემოაღნიშნული თანხის გადახდას თქვენი პირველივე მოთხოვნისთანავე (არაუგვიანეს 10 საბანკო დღისა), თქვენს მოთხოვნაში მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დარღვევის თაობაზე მითითების საფუძველზე, თქვენი მხრიდან მოთხოვნის ან მოთხოვნილი თანხის დასაბუთების საჭიროების გარეშე.

წინამდებარე გარანტია ძალაშია _____ გარანტების

ხელმოწერა და ბეჭედი _____

(თარიღი)

_____

(მისამართი)

ინფორმაცია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ფარგლებში შესასრულებელი ვალდებულებების შესახებ

ამხანაგობა „.....“-ის (ს/კ.....) მონაწილეები:

1. “.....” (ს/კ .....) მისი დირექტორის ..... სახით; 2.

“.....” (ს/კ .....) მისი დირექტორის ..... სახით;

.....

(წევრების რაოდენობის შესაბამისად) ვთანხმდებით შემდეგზე:

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის მიერ ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან მისასვლელი საავტომობილო გზის, რკინიგზის და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მომზადების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვასთან დაკავშირებით გათვალისწინებული ვალდებულებებიდან

1. ..... შეასრულებს ..... ვალდებულებებს

2. ..... შეასრულებს ..... ვალდებულებებს

რასაც ვადასტურებთ ჩვენი ხელმოწერებით

ამხანაგობის მონაწილის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

,,,

,,,

,,,

,,,

ამხანაგობის მონაწილის უფლებამოსილი პირის ხელმოწერა _____

პროექტი

ხელშეკრულება

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ე.ტ._____

ქ. თბილისი ----.----------2018 წელი

ერთი მხრივ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი, წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის მოადგილის, ალექსანდრე თევდორაძის სახით (შემდგომში - შემსყიდველი),
მის: ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. №12 საიდენტიფიკაციო კოდი: 211 343 982 საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22
ანგარიშის ნომერი: 200122900

და მეორე მხრივ, ----------, წარმოდგენილი ---------- ---
---- სახით (შემდგომში - მიმწოდებელი), მის.: საიდენტიფიკაციო კოდი:
საბანკო რეკვიზიტები: ბანკის კოდი:
ანგარიშის ნომერი:

შემდგომში თითოეული ცალ-ცალკე წოდებული, როგორც „მხარე“, ხოლო ერთობლივად წოდებულნი, როგორც„მხარეები“,

„ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის ვალდებულებების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის №2069 განკარგულების მე-6 პუნქტის, „საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტისთვის სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2019 წლის 20 თებერვლის №986 განკარგულების (SMP190001020), „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 10^1 მუხლის მე-3 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სსიპ - სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანებით დამტკიცებული გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის და მე-9 მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 პუნქტების საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში - ხელშეკრულება) შემდეგზე:

მუხლი 1. შესყიდვის ობიექტის დასახელება და მისი შესაბამისი CPV კოდი

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს ანაკლიის ღრმაწყლოვან პორტთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზის, რკინიგზის და შესაბამისი

ინფრასტრუქტურის მშენებლობისათვის დეტალური საპროექტო დოკუმენტაციის მოსამზადებლად საპროექტო მომსახურების (შემდგომში - მომსახურება) შესყიდვა.
2, ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის CPV კოდია: CPV 71320000.

მუხლი 2. ხელშეკრულების ღირებულება
1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს _____ , 00 (----------) ლარს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული დამატებული ღირებულების გადასახადის გათვალისწინებით.
2. მომსახურების ღირებულება მოცემულია ხელშეკრულების დანართი N4-ში (ფასების ცხრილი).

მუხლი 3. მომსახურების გაწევის ვადა და ადგილი
1. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) თვეში.
2. მიმწოდებელი ვალდებულია, ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევა უზრუნველყოს ტექნიკური დავალებით (ხელშეკრულების დანართი N1) განსაზღვრული ვადების შესაბამისად.
3. მომსახურების გაწევა მოხდება მიმწოდებლის ადგილსამყოფელის მიხედვით, ან/და საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტის ადგილას.

მუხლი 4. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიის პირობები
1. ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული დაწესებულების მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის თანხა შეადგენს ხელშეკრულების ღირებულების --- %-ს.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადა უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას არანაკლებ 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით.
3. ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.
4. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარდგენილი, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის უპირობო საბანკო გარანტია გამოიყენება ნებისმიერი ზიანის ანაზღაურების მიზნით, რომელიც მიადგება შემსყიდველს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შედეგად, აგრეთვე, შემსყიდველის მიერ მიმწოდებლისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ანაზღაურებისა და ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
5. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შესრულებისა და შემსყიდველის მიერ ამ შესრულების მიღების შემდეგ, შემსყიდველი ვალდებულია, დაუბრუნოს მიმწოდებელს ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია.
6. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველს უფლება აქვს, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფისსაბანკო გარანტია სრული ოდენობით.

7. შემსყიდველის მიერ, ხელშეკრულების მე-13 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტისას შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისაგან.

8. მიმწოდებლისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, კერძოდ, ხელშეკრულების მე-11 მუხლით გათვალისწინებული ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებლის მოთხოვნისთანავე დაუბრუნოს მას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია.

9. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, უზრუნველყოს ამ მუხლის პირველი პუნქტში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელება და შემსყიდველს წარუდგინოს აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტი (ცვლილება/ახალი საბანკო გარანტია).

მუხლი 5. ანგარიშსწორების წესი

1. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება იწარმოება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, საქართველოს ეროვნულ ვალუტაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ რეკვიზიტებზე.

2. ანგარიშსწორების მიზნით, მიმწოდებელი, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით (დანართი N1) განსაზღვრული მომსახურების გაწევის ვადებისა და პირობების შესაბამისად, ეტაპობრივად წარუდგენს შემსყიდველს საპროექტო- სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციას.

3. ხელშეკრულების ფარგლებში ანგარიშსწორება ხორციელდება ხელშეკრულების მე-9 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად შედგენილი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და შემსყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4. მიმწოდებელი ვალდებულია ანგარიშსწორებისას წარუდგინოს შემსყიდველს, ფაქტობრივად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება (დამატებული ღირებულებისა და სხვა გადასახადების გათვალისწინებით).

5. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულებამ არ შეადგინა ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ღირებულება, შემსყიდველი მიმწოდებელს აუნაზღაურებს მიმწოდებლის მიერ ფაქტობრივად გაწეული მომსახურების ღირებულებას ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეულის ფასების შესაბამისად. ამ შემთხვევაში მიმწოდებელს არ გააჩნია პრეტენზია მომსახურების აუთვისებელი მოცულობების შესრულებაზე და მის გადახდაზე.

მუხლი 6. წინასწარი ანგარიშსწორების პირობები

1. მიმწოდებელი უფლებამოსილია, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა წინასწარი ანგარიშსწორებით თანხის (შემდგომში - ავანსი) გადახდის თაობაზე.

2. მიმწოდებელი არ არის უფლებამოსილი, შემსყიდველს წარუდგინოს წერილობითი თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე, თუ იგი რეგისტრირებულია მოვალეთა რეესტრში, მის მიმართ რეგისტრირებულია საგადასახადო გირავნობა ან/და ყადაღა. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს შესაბამისი დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება მის მიმართ ამ პუნქტში განსაზღვრული ვალდებულებების რეგისტრაციის არარსებობა.

3. მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული წერილობითი მოთხოვნის წარდგენის მიუხედავად, შემსყიდველი უფლებამოსილია, არ დააკმაყოფილოს მიმწოდებლის თხოვნა ავანსის გადახდის თაობაზე იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელს შესრულებული აქვს ხელშეკრულების ღირებულების 20% ან მეტი.

4. შემსყიდველის მიერ ავანსის გადახდასთან დაკავშირებით დადებითი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წარუდგინოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების (უცხო ქვეყნის საბანკო დაწესებულების შემთხვევაში, იგი გადაზღვეული უნდა იყოს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ) მიერ გაცემული, ავანსის დენტური ოდენობის საბანკო გარანტია, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე.

5. ამ მუხლის მე-4 პუნქტში განსაზღვრული ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტია თავისი შინაარსით უნდა იყოს უპირობო და შემსყიდველს უნდა აძლევდეს უფლებას, ავანსის იდენტური ოდენობის საბანკო გარანტიის გამცემი დაწესებულებისგან პირველივე მოთხოვნისთანავე, შემსყიდველის მხრიდან ყოველგვარი დასაბუთებისა და დოკუმენტაციის წარდგენის გარეშე, მიიღოს შესაბამისი თანხა.

6. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელი რეგისტრირებულია თეთრ სიაში (შესყიდვებში მონაწილე კვალიფიციურ მიმწოდებელთა რეესტრი), მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ლიცენზირებული საბანკო დაწესებულების მიერ გაცემულ ავანსის ნახევარი ოდენობის საბანკო გარანტიას, რომელიც ძალაში უნდა იყოს გადასახდელი ავანსის დაქვითვამდე და აკმაყოფილებდეს ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ მოთხოვნებს.

7. მიმწოდებლისთვის გადასახდელი ავანსი ჯამში არ უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების ღირებულების 10%-ს.

8. შემსყიდველის მიერ გადახდილი ავანსის დაკავება მოხდება ქვემოთ მოყვანილი წესის თანახმად:

$$Z = \frac{A*(X\%-Y\%)}{-20} \quad 70$$

Z = არის გამოსაქვითი თანხა საანგარიშო პერიოდში; A = წარმოადგენს გადარიცხული ავანსის თანხას;

X = წარმოადგენს საანგარიშო პერიოდისთვის გაწეული მომსახურების ღირებულების შეფარდებას საწყის საკონტრაქტო ღირებულებასთან, გამოხატულს პროცენტებში. ეს მონაცემი არ აღემატება 70%-ს.

Y = არის (X) წინა პერიოდისათვის.

9. გადახდილი ავანსის დაკავება განხორციელდება მას შემდეგ, როცა გაწეული მომსახურების მოცულობა მიაღწევს 20%-ს, ხოლო გადახდილი ავანსის სრულად დაქვითვა განხორციელდება, როცა გაწეული მომსახურების მოცულობა შეადგენს 70 %-ს.

10. გადახდილი ავანსის დაქვითვა ასევე შესაძლოა განხორციელდეს წინსწრებით.

11. მიმწოდებელი ვალდებულია, ავანსი გამოიყენოს მხოლოდ ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შესასრულებლად.

12. შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით განსაზღვრული საბანკო გარანტია,თუ მიმწოდებელი ვერ უზრუნველყოფს ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტის მოთხოვნის შესაბამისად, საბანკო გარანტიის ვადის გაგრძელებას ან/და ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის მიმწოდებელს არა აქვს დაქვითული გადახდილი ავანსი ან მისი ნაწილი.

13. ავანსის გადახდა მოხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით მიმწოდებლის მიერ ამ მუხლის მე-4 ან მე-6 პუნქტით გათვალისწინებული საბანკო გარანტიის შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ.

მუხლი 7. გაწეული მომსახურების საგარანტიო ვადა

1. გაწეული მომსახურების საგარანტიო ვადა შეადგენს პერიოდს ტექნიკური დავალებით განსაზღვრულ ლოტი 1-ზე და ლოტი 2-ზე შემუშავებული პროექტების საფუძველზე განსახორციელებული სამშენებლო სამუშაოების დასრულების სავარაუდო ვადის 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდს დამატებული 2 (ორი) წელი.

2. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარდგენილი საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის ხარისხის დაცვის მიზნით, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) სამუშაო დღის ვადაში შემსყიდველისთვის წარდგენილი უნდა იქნას საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად საქართველოში რეგისტრირებული ლიცენზირებული სადაზღვევო კომპანიის მიერ გაცემული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი, რომელიც უნდა შეადგენდეს ხელშეკრულების ღირებულების ოდენობას და მოქმედი უნდა იყოს მისი გაცემის თარიღიდან მოცემული ტენდერის შედეგად, ლოტი 1-ზე და ლოტი 2-ზე შემუშავებული პროექტების საფუძველზე

სამშენებლო სამუშაოების დასრულებიდან (სავარაუდოდ 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდი)
(ორი) წლის განმავლობაში. ამასთან, ლოტი 1-ზე და ლოტი 2-ზე შემუშავებული პროექტების საფუძველზე
განხორციელებული სამშენებლო სამუშაოების დასრულების ვადის გაგრძელების შემთხვევაში
მიმწოდებელი ვალდებულია, წარუდგინოს შემსყიდველს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის
განახლებული პოლისი, რომელიც მოქმედი იქნება გაგრძელებული ვადის განმავლობაში.
განხორციელებული

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტში განსაზღვრული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი უნდა ფარავდეს შემდეგ რისკს, კერძოდ, მომწოდებლის მიერ, პროფესიული საქმიანობის განხორციელების პერიოდში, დაშვებული ხარვეზების შედეგად შემსყიდველის მიმართ დამდგარ ზიანს.

4. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საგარანტიო ვადის განმავლობაში სამუშაოების განხორციელების პროცესში საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში აღმოჩნდება რაიმე სახის დეფექტ(ებ)ი, მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ისინი.

5. თუ მიმწოდებელი, ამ მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად არ აღმოფხვრის დეფექტ(ებ)ს, ან არსებული დეფექტ(ებ)ის შედეგად სამშენებლო სამუშაოების წარმოებისას შემსყიდველს მიადგა ზიანი, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს მიმწოდებლის მიერ წარდგენილი, ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი.

6. იმ შემთხვევაში, თუ აღმოჩნდება, რომ ამ მუხლის მე-2 პუნქტში აღნიშნული პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისის ღირებულება არ არის საკმარისი მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმართოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ღონისძიებებს.

მუხლი 8. მომსახურების შესაბამისობა

1. ხელშეკრულების პირველი მუხლით გათვალისწინებული მომსახურება უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ნორმებსა და წესებს, მსგავსი მომსახურებისათვის უკვე დადგენილ სტანდარტებს, ტექნიკურ სპეციფიკაციებს, აგრეთვე, ხელშეკრულებითა და მასზე თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებულ პირობებს, რომელიც თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

2. ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული პირობებიდან ნებისმიერი გადახვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, არ მიიღოს მომსახურება ან/და მიმწოდებლის

მიმართ გამოიყენოს ხელშეკრულებითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის ზომები.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღება-ჩაბარება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან_ჩათვლით.

4. მომსახურებისთვის საჭირო საავტორო ზედამხედველობას მიმწოდებელი გასწევს საჭიროებიდან გამომდინარე, საკუთარი ხარჯებით, ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ვადის განმავლობაში მომსახურების გაწევის ვადების მიუხედავად.

მუხლი 9. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

1. მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის წარგენილი, ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის (ნახაზები, ხარჯთაღრიცხვა, ტექნიკური ანგარიშები და სხვა დოკუმენტაცია) ანალიზის, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველის ტექნიკურ საბჭოზე პროექტის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის მიღების (მაგრამ დოკუმენტაციის შემსყიდველისთვის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში) შემდგომ დგება შუალედური ან/და დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი (წარდგენილი უნდა იყოს შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ-ფაქტურა), რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს იმ ეტაპისათვის გაწეული მომსახურების ღირებულებას მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშ- ფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის განხილვისა და დადებითი რეკომენდაციის გაცემის შემდეგ, საჭიროების შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, საკუთარი ხარჯებით ჩაუტაროს ექსპერტიზა დასრულებულ საპროექტო დოკუმენტაციას - სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში“ ან სხვა შესაბამის სფეროში აკრედიტირებულ პირთან.
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, დადებითი საექსპერტო დასკვნის შემსყიდველისათვის წარდგენის შემდგომ (მაგრამ ექსპერტიზის დასკვნის შემსყიდველისათვის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში), ფორმდება დასრულებული საპროექტო მომსახურების მიღება-ჩაბარების ორმხრივი აქტი, რომელიც განსაზღვრავს გაცემული დავალების შესრულებას და სრულ ასანაზღაურებელ თანხას, რის საფუძველზეც შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულებას, შესაბამისი მიღებაჩაბარების აქტის გაფორმებიდან და დამატებული ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურის დადასტურებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.
4. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდგომ.
5. იმ შემთხვევაში, თუ გაწეული ან მიმდინარე მომსახურების ინსპექტირების შედეგები უარყოფითია, შემსყიდველს შეუძლია, უარი განაცხადოს მომსახურების ან მისი ნაწილის (ეტაპის) მიღებაზე და ანაზღაურებაზე.
6. გაწეული მომსახურების მიღების და საბოლოო შემოწმების ადგილია მიმწოდებლის ადგილსამყოფელი და/ან, საჭირო შემთხვევებში, დასაპროექტებელი ობიექტი.
7. შემსყიდველი ამოწმებს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების მოცულობას და ხარისხს.
8. მომსახურებას, შემსყიდველის მხრიდან იბარებს ----------.
9. მომსახურების, გარდა საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილისა, მიღება-ჩაბარებას ერთობლივად უზრუნველყოფენ შემსყიდველი, ამ მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად და სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“ „ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს

გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის ვალდებულებების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის N2069 განკარგულების შესაბამისად.

მუხლი 10. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

1. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) მომსახურების გაწევის პროცესში იხელმძღვანელოს ხელშეკრულების მე-8 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული წესებითა და პირობებით;

ბ) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განახორციელოს ჯეროვნად, ხელშეკრულების პირობების, ტექნიკური დავალების, მომსახურების ტექნიკური სპეციფიკაციების შესაბამისად.

გ) უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულების მე-3 მუხლში განსაზღვრული ვადების შესაბამისად.

დ) შემსყიდველთან შეთანხმებულ გონივრულ ვადაში, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს წარდგენილ საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში არსებული ხარვეზების გამოსწორება (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ე) მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველის მოთხოვნის შესაბამისად, წარუდგინოს მას ინფორმაცია გასაწევი ან/და გაწეული მომსახურების შესახებ;

ვ) საჭიროების შემთხვევაში, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში, დამატებითი ანაზღაურების გარეშე, გაუწიოს კონსულტაცია შემსყიდველს სამუშაოების განხორციელების დროს წარმოქმნილი დამატებითი სამუშაოების ან/და საპროექტო ცვლილების განხორციელების მიზანშეწონილობის შესახებ;

ზ) ანგარიშსწორებისას საანგარიშსწორებო დოკუმენტაციაში მიუთითოს ფაქტიურად გაწეული მომსახურების მთლიანი ღირებულება;

თ) შემსყიდველს დაუყონებლივ აცნობოს მისი მოსალოდნელი რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის შესახებ, აგრეთვე, სხვა გარემოებათა შესახებ, რომლებმაც შესაძლებელია, ხელი შეუშალოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას;

ი) იმ შემთხვევაში, თუ პროექტი ითვალისწინებს ქონების შეფასებას, შემფასებელი (სერთიფიცირებული) ექსპერტის კანდიდატურა შეათანხმოს შემსყიდველთან და ქონების შეფასების დოკუმენტი წარადგინოს მისი და შემფასებელი ექსპერტის ხელმოწერით.

კ) საპროექტო დოკუმენტაცია წარადგინოს მისი და შესაბამისი სპეციალისტის (ინჟინერტექნიკური პერსონალი, ტექნიკური გადაწყვეტილების მიმღები) მიერ ხელმოწერილი სახით;

ლ) შეასრულოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ვალდებულებები.

2. შემსყიდველი ვალდებულია:

ა) შეუფერხებლად აუნაზღაუროს მიმწოდებელს გაწეული მომსახურების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და ვადების შესაბამისად;

ბ) მიმწოდებლის მიერ თითოეულ ეტაპზე დასრულებული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენიდან გონივრულ ვადაში განიხილოს მისთვის წარდგენილი დოკუმენტაცია, საჭიროების შემთხვევაში გაიტანოს მის ტექნიკურ საბჭოზე, წუნის აღმოჩენის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს მიმწოდებელს აღნიშნულის შესახებ და განუსაზღვროს გონივრული ვადა ხარვეზის გამოსასწორებლად.

3. შემსყიდველი და მიმწოდებელი ერთობლივად განიხილავენ მომსახურების გაწევის მიმდინარეობის საკითხებს და საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ მასში სათანადო ცვლილებები.
4. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, შეიტანოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადებში ცვლილებები მეორე მხარესთან შეთანხმების გარეშე, ვადებში ცვლილებები დასაშვებია მხოლოდ მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

მუხლი 11. ფორს-მაჟორი

1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (სტიქიური უბედურება, ეპიდემია, ომი, კარანტინი, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესება, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირება, საზოგადოებრივი არეულობა, ცვლილებები კანონმდებლობაში და ა.შ.) ზეგავლენით, რომლის წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება მხარეების შესაძლებლობას აღემატებოდა. დაუძლეველი ძალით გამოწვეული მოვლენები ეწოდება მოვლენებს, რომელთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს ზეგავლენის მოხდენა არ შეუძლიათ (ფორს-მაჟორი).

2. მხარე, რომელსაც ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების მიზეზად ფორს-მაჟორი მოჰყავს, ვალდებულია, დაუყოვნებლივ, მაგრამ ფორს-მაჟორის მოვლენის დადგომიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღისა, წერილობით აცნობოს მეორე მხარეს ასეთი მოვლენის დადგომისა და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულებითგათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან/და არაჯეროვნად შესრულებით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, შესაბამისმა მხარემ უნდა წარადგინოსფორს-მაჟორის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, და დაასაბუთოს, რომ ფორს-მაჟორმა არსებითად ხელი შეუშალა მხარეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაში.

მუხლი 12. პასუხისმგებლობა

1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის, მათ შორის, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ საგარანტიო პერიოდში, დამრღვევი მხარე ვალდებულია, მეორე მხარის მოთხოვნისთანავე გადაუხადოს მას პირგასამტეხლოს სახით ტექნიკური დავალებით განსაზღვრული თითოეული ლოტის საპროექტო და სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე მომსახურების ღირებულების 3% (სამი პროცენტი), მაგრამ არანაკლებ 1 000 (ერთი ათასი) ლარისა, შემსყიდველის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში და უზრუნველყოს დარღვეული ვალდებულების დაუყოვნებლივ გამოსწორება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მიმწოდებლისთვის დაკისრებული პირაგასამტეხლოს დადგენილ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან დაუკავოს თანხა დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობით და მოახდინოს ურთიერთმოთხოვნათა გაქვითვა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3. იმ შემთხვევაში, თუ მიმწოდებელზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის დარღვევის გამო დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების საერთო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობით ან არაჯეროვნად შესრულებით მესამე პირისათვის მიყენებული ნებისმიერი სახის ზიანის ანაზღაურების ვალდებულება ეკისრება მიმწოდებელს.

5. მიმწოდებლის მიერ ჩადენილი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის, შემსყიდველისათვის დაკისრებული ადმინისტრაციული სახდელისათვის პასუხისმგებლობა ეკისრება მიმწოდებელს.

6. მიმწოდებლის მიერ ამ ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული ვალდებულების

დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს პირგასამტეხლო მიმწოდებელს ამ მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად.

მუხლი 13. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში, მეორე მხარეს შეუძლია, მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, რაზედაც აცნობებს მეორე მხარეს წერილობითი ფორმით.

2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მეორე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვული სხვა პირობების შესრულებისაგან.

3. ხელშეკრულების შეწყვეტა ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ხორციელდება მხარეთა შორის დანართის გაფორმების გზით.

4. მხარეთა შეუთანხმებლობის შემთხვევაში ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს, ცალმხრივად, წერილობითი ფორმით შეწყვიტოს ხელშეკრულება.

5. შემსყიდველი უფლებამოსილია, ვადამდე, ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება, თუ:
ა) მიმწოდებელი არღვევს (არ ასრულებს ან არაჯეროვნად ასრულებს) ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვალდებულებას/ვალდებულებებს;
ბ) მიმწოდებლის ბრალეულობით, საპროექტო დოკუმენტაციით გათვალისწინებული სამუშაოების განხორციელების პროცესში გამოვლენილი საპროექტო დეფექტ(ებ)ის არსებობამ გამოიწვია საგზაო სამუშაოების ღირებულების მნიშვნელოვნად გაზრდა, რაც დადგენილია შემსყიდველის შესაბამისი სამსახურის ან/და დამოუკიდებელი ექსპერტის მიერ;
გ) მიმწოდებლის მიმართ მიმდინარეობს გაკოტრების ან გადახდისუუნარობის საქმის წარმოება (მიუხედავად მისი დაწყების დროისა);
დ) მიმწოდებლის ქონებას დაედო ყადაღა, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
ე) მიმდინარეობს მიმწოდებლის რეორგანიზაცია, თუ ეს გარემოება ზეგავლენას ახდენს ან შესაძლებელია, მოახდინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებ(ებ)ის შესრულებაზე;
ვ) ამოიწურა ხელშეკრულებაზე თანდართული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიით განსაზღვრული თანხა/ვადა და მიმწოდებელმა შემსყიდველს არ წარუდგინა ახალი საბანკო გარანტია;
ზ) მიმწოდებელმა არ წარუდგინა შემსყიდველს პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის პოლისი / პროფესიული პასუხისმგებლობის დაზღვევის განახლებული პოლისი ხელშეკრულების მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად.
თ) მიმწოდებლის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს ოდენობამ გადააჭარბა ხელშეკრულების ღირებულების 5%-ს;
ი) ხელშეკრულებით განსაზღვრული ტექნიკურ დავალებაში მითითებული საპროექტო დოკუმენტაციის წარდგენის ვადა განმეორებით დაირღვა მიმწოდებლის მიერ;
კ) ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მიმწოდებელმა ხელშეკრულების დადების მიზნით ჩაიდინა არაკეთილსინდისიერი ქმედება;
ლ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

6. შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, აამოქმედოს ხელშეკრულების მე-4 მუხლში განსაზღვრული ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია სრული ოდენობით. ამ შემთხვევაში საბანკო გარანტიის

ამოქმედება მიმწოდებელს არ ათავისუფლებს შემსყიდველისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების ვალდებულებისგან.

მუხლი 14. უფლებების გადაცემა

1. ხელშეკრულების პირობები სავალდებულოა როგორც ხელშეკრულების მხარეებისათვის, ასევე, მათი სამართალმემკვიდრეებისათვის და უფლებამონაცვლეებისთვის.
2. ხელშეკრულების არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
3. მესამე პირებთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

მუხლი 15. ქვეკონტრაქტორები

1. მიმწოდებელმა წერილობით უნდა შეუთანხმოს შემსყიდველს ხელშეკრულების ფარგლებში ყველა შესაძლო ქვეკონტრაქტორის აყვანის შესახებ, თუ ეს უკვე არ იყო მითითებული სატენდერო წინადადებაში. ხელშეკრულების ფარგლებში დადებული ყველა ქვეკონტრაქტის ასლი უნდა წარედგინოს შემსყიდველს.

2. მიმწოდებელი ვალდებულია, შემსყიდველს წერილობით აცნობოს, თუ რა მოცულობის მომსახურება გადაეცემა ქვეკონტრაქტორს. ქვეკონტრაქტორის მიერ გასაწევი მომსახურების ჯამური მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს გასაწევი მომსახურების მთლიანი მოცულობის 40%-ს.

3. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების პროცესში ქვეკონტრაქტორის შეცვლა ან დამატებითი ქვეკონტრაქტორის აყვანა წინასწარ უნდა შეთანხმდეს შემსყიდველთან.

4. მიმწოდებელი და მისი ქვეკონტრაქტორი ვალდებულნი არიან, დასაპროექტებელ ობიექტზე შეარჩიონ და დანიშნონ ის წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტები, რომლებიც მოხსენიებული იყო მიმწოდებლის სატენდერო წინადადებაში და მოწონებულია შემსყიდველის მიერ.

5. მიმწოდებელს, საჭიროების შემთხვევაში, უფლება აქვს, დამატებით აიყვანოს სპეციალისტ(ებ)ი მის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემებში მითითებული მასთან მომუშავე წამყვანი ინჟინერ-ტექნიკური სპეციალისტების სიობრივი რაოდენობის ზევით.

6. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, თავისი საკვალიფიკაციო მონაცემებით წარდგენილი ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის ნებისმიერი ცვლილების შემთხვევაში, დაუყოვნებლივ აცნობოს შემსყიდველს წერილობითი სახით და აღნიშნული ცვლილებ(ებ)ის საკითხი შეათანხმოს შემსყიდველთან.

1. 7. ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურების ნაწილის ქვეკონტრაქტორზე გადაცემით მიმწოდებელი არ თავისუფლდება ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ისგან.

მუხლი 16. შეტყობინება

1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, უნდა გაიგზავნოს წერილის, დეპეშის, ოფიციალური ელექტრონული ფოსტის (შემსყიდველის შემთხვევაში - info@georoad.ge) ან ფაქსის სახით, ორიგინალის შემდგომი წარდგენით, ხელშეკრულებაში მითითებულ მეორე მხარის მისამართზე.
2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინებაში ძალაში შესვლისათვის დადგენილ დღეს იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

მუხლი 17. კონტროლი (ინსპექტირება)

1. შემსყიდველს ან მის წარმომადგენელს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებ(ებ)ის შესრულების მიმდინარეობაზე, მათ შორის, მომსახურების ხარისხის პერიოდულ ინსპექტირებაზე. გაწეული მომსახურების ტექნიკური ინსპექტირება და კონტროლი (მონიტორინგი) ევალება:-------

---

2. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველი უფლებამოსილია, ნებისმიერ დროს განახორციელოს გაწეული მომსახურების ხარისხის ინსპექტირება.

3. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებითა და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს თვით შემსყიდველი.

4. მიმწოდებელი ვალდებულია, საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის
(ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტ(ებ)ის დაუყონებლივ აღმოფხვრა.

5. შემსყიდველი მომსახურების მონიტორინგს აწარმოებს საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის №2069 განკარგულების მოთხოვნათა გათვალისწინებით. სარკინიგზო ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით შესყიდული საპროექტო მომსახურების მონიტორინგს სააქციო საზოგადოება „საპარტნიორო ფონდის“ დავალებით უზრუნველყოფს სააქციო საზოგადოება „საქართველოს რკინიგზა“ „ანაკლიაში შავი ზღვის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობის, ოპერირებისა და გადაცემის (BOT) შესახებ“ საქართველოს მთავრობასა და შპს „ანაკლიის განვითარების კონსორციუმს“ შორის 2016 წლის 3 ოქტომბერს გაფორმებული საინვესტიციო ხელშეკრულებით განსაზღვრული საქართველოს მთავრობის ვალდებულებების შესრულების მიზნით განსახორციელებელ ზოგიერთ ღონისძიებათა შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 5 ოქტომბრის №2069 განკარგულების შესაბამისად.

6. მომსახურების გაწევის მიმდინარეობაზე შემსყიდველი და ამ მუხლის მე-5 პუნქტში განსაზღვრული სუბიექტი კონტროლს (ინსპექტირებას) აწარმოებს საქართველოს კანონმდებლობის, ტექნიკური დავალებისა და ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია, შეაჩეროს მომსახურების გაწევის მიმდინარეობა და განახორციელოს ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები.

მუხლი 18. სხვა პირობები

1. ხელშეკრულებაში შესატანი ნებისმიერი ცვლილება ან დამატება უნდა გაფორმდეს მხარეთა შორის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე ხელშეკრულების დანართის გაფორმების გზით. ამ პუნქტის შესაბამისად გაფორმებული ხელშეკრულების დანართი მხარეთა ხელმოწერისთანავე წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულებით განსაზღვრული სამუშაოს შესრულების დროს ხელშეკრულების ღირებულებისა და ანგარიშსწორებიდან გამომდინარე ან რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზის გამო წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, მათ შორის, ფასების გადასინჯვის აუცილებლობა, ასეთი ცვლილებები დასაშვებია ხელშეკრულების საერთო შინაარსის ფარგლებში. ცვლილებების ან/და დამატებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია, წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი დასაბუთებული ინფორმაცია.

3. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით გაზრდა.

5. ხელშეკრულება რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

6. მხარეთა შორის წარმოშობილი სადავო საკითხები წყდება ურთიერთშეთანხმების გზით. მხარეთა მიერ შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება საქართველოს სასამართლოს მეშვეობით საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

7. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, 2 (ორი) ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან (ერთი პირი შემსყიდველთან და ერთი პირი - მიმწოდებელთან).

8. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

9. მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, ხარჯთაღრიცხვა, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტია, სამუშაოების შესრულების გეგმა-გრაფიკი, ტექნიკური დავალება, საპროექტო დოკუმენტაციის განმარტებითი ბარათი, სპეციფიკაციები, ნახაზები, პროექტი თან ერთვის ხელშეკრულებას და წარმოადგენს მის განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 19. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან _ჩათვლით, გარდა ხელშეკრულებით განსაზღვრული იმ ვალდებულებებისა, რომელთა არსებობაც არ არის დამოკიდებული ხელშეკრულების მოქმედების ვადაზე (საგარანტიო პერიოდის სრულ დასრულებამდე).

მხარეთა ხელმოწერები: შემსყიდველი:

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - საქართველოს
საავტომობილო გზების დეპარტამენტი

ხელმოწერა

ალექსანდრე თევდორაძე ბ.ა.

მიმწოდებელი:

ხელმოწერა ბ.ა.